განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლევან მადათოვი

წევრები:

ქეთევან გელაშვილი

ქეთევან ღვანიძე

მარიამ ფიცხელაური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ კოლეჯი „მოდუსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216350829**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2019 წლის 11 ოქტომბრის №950 ბრძანების** საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი „მებაღეობის“, „შედუღების“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, **2019 წლის 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს** განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ვიზიტი **სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“** მისამართზე: **ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი №4**

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა კოლეჯის მიერ ცენტრში წარმოდგენილი თვიშეფასების ანგარიშები და თანდართული დოკუმენტაცია, ასევე გაეცნო 2019 წლის 31 მაისის №446 ბრძანებით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას და შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის სხდომის ოქმს. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დღის წესრიგი **(დანართი.1)** რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ყველა აქტივობა.

დაწესებულებამ უზრუნველყო დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების ორგანიზება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი ყველა დოკუმენტის დროულად და შეუფერხებლად მოწოდება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გაიზიარა 2019 წელს განხორციელებული ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი **ავტორიზებულია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის №135 გადაწყვეტილებით** და ვიზიტის პერიოდისთვის ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ სამკერვალო წარმოების და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ ეტაპზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: მებაღეობა, შედუღება, ბუღალტრული აღრიცხვა და აღმზრდელი.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, კოლეჯში და პრაქტიკის ობიექტებზე განხორციელებული ვიზიტების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების, ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად, **ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს რომ წარმოდგენილი პროგრამები აკმაყოფილებს ავტორიზაციის ყველა სტანდარტს** და კოლეჯი შეძლებს განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

- **„მებაღეობა“** - 30 პროფესიული სტუდენტი (15 ერთ ცვლაში)
- **„შედუღება“** - 30 პროფესიული სტუდენტი (15 ერთ ცვლაში)
- **„ბუღალტრული აღრიცხვა“** - 30 პროფესიული სტუდენტი (15 ერთ ცვლაში)
- **„აღმზრდელი“** - 30 პროფესიული სტუდენტი (15 ერთ ცვლაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ქვესტანდარტი 1.1

რეკომენდირებულია პარტნიორ ორგანიზაციასთან, (ააიპ ქ. რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან), სწავლების დაწყებამდე არსებობდეს კონკრეტული ხელშეკრულება, სადაც წინასწარ იქნება გაწერილი პრაქტიკის ობიექტებათ მოაზრებული გაერთიანებაში შემავალი ფილიალების (ბაგა-ბაღების) ნომრები, მხარეთა უფლებამოვალეობები, გამოიკვეთება კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი და დაკონკრეტდება სტუდენტთა რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს დაწესებულება.

სასურველია მემორანდუმებში მითითებული იყოს მოდულების ჩამონათვალი, ერთ ჯერზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, პარტნიორ ორგანიზაციაში სტუდენტთა ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ

ქვესტანდარტი 2.1

საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს ახალი საკადასტრო აზომვისა და შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისი ფართი.

ქვესტანდარტი 3.2

შედუღების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში საერთო პროფესიული მოდულების 8 მოდულს კითხულობს მხოლოდ 1 პროფესიული მასწავლებელი, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტის მოთხოვნა დარღვეული არ არის (20 პროფესიულ სტუდენტზე 1 მასწავლებელი). პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით, სასურველია კოლეჯმა იზრუნოს დამატებითი მასწავლებლის შერჩევაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ ქალაქ რუსთავში მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი მისიაა რეგიონში არსებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების შემუშავება და დანერგვა სამუშაოს მაძიებლებისა და კარიერის განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანების პროფესიონალებად ჩამოაყალიბებისთვის, დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინებით. დაწესებულება პროფესიონალების მომზადება-გადამზადებას ანხორციელებს მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამებით ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ამ ეტაპზე კოლეჯს წარმოდგენილი აქვს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული „მებაღეობის“, „შედუღების“, „ბუღალტრული აღრიცხვის“ და „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის მიერ 2019 წლის 26 სექტემბრის №258, №259, №260 და №262 ბრძანებებით. პროგრამების ჩამონათვალი შეთანხმებულია კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოსთან. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ მოდუსის წესდების მე-5 და მე-6 მუხლებით განსაზღვრულია დირექტორისა და საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №259 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“,** სარეგისტრაციო ნომერი 04114-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში (სპეციალიზაციის კოდი: 0411); პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 99 კრედიტს, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 129 კრედიტს. პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- სსიპ - ქალაქ რუსთავის N12 საჯარო სკოლასთან
- სსიპ - ქალაქ რუსთავის N21 საჯარო სკოლასთან
- სსიპ - ქალაქ რუსთავის N23 საჯარო სკოლასთან
- შპს "ზ.მ სერვის ჯგუფთან"
- შპს „სმარტ კონსულტაციასთან“;

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელიც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობა/გაცნობას ან/და პროფესიული დაოსტატებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. მხარეები გააფორმებენ დამატებით ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების მექანიზმები, მხარეთა ფუნქციები და მოვალეობები. მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერის მომენტიდან და შეიძლება შეწყდეს რომელიმე მხარის მიერ ერთი თვით ადრე მხარეთათვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით. ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტი შპს „სმარტ კონსულტაციაში“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„აღმზრდელი“** მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული “აღმზრდელის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის N258 ბრძანებით. (სპეციალიზაციის კოდი 030255).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა კრედიტებსა და საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), ხოლო სპეციალიზაციის/ პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი (24 მოდული). სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა 2 წელი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ ქ. რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (18 ივლისი 2019 წელი). მემორანდუმი მიზნად ისახავს მხარეებს შორის პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში ურთიერთთანამშრომლობას, რომელიც გულისხმობს პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და პრაქტიკული უნარჩვევების განვითარებას პროფესიული პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში მხარეები გამოხატავენ მზაობას ურთიერთთანამშრომლობისათვის და თანხმდებიან, რომ აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის გააფორმებენ დამატებით ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლითაც განსაზღვრული იქნება კონკრეტული ღონისძიების განხორციელების მექანიზმები, მხარეთა ფუნქციები და უფლებამოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ მოხდა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება. კერძოდ, მონახულებული იქნა ააიპ ქ. რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანებაში შემავალი # 10 ფილიალი (საბავშვო ბაგა-ბაღი). ობიექტზე ექსპერტთა ჯგუფის წევრები გაესაუბრნენ #10 ფილიალის გამგესა და მენეჯერს, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებითა და ინტერვიუთი დადგინდა აღნიშნული ობიექტის მზაობა სტუდენტების მიღებისათვის. ბაგა-ბაღს გააჩნია საკმაოდ დიდი ეზო, სადაც განთავსებულია ბაღის ორსართულიანი შენობა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებით. დადგინდა, რომ საბავშვო ბაგა-ბაღი ერთდროულად თავისუფლად უზრუნველყოფს 12 პროფ. სტუდენტის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. გასაუბრებისას განგვიმარტეს, რომ მოხდება სტუდენტების მონაცვლეობა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში, რათა ყველამ თანაბრი პრაქტიკული გამოცდილება მიიღოს.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“ სადაც საუბარია, მასზედ, რომ რეგიონალური საჭიროებების გამოვლენის მიზნით, კოლეჯი „მოდუსი“ პერიოდულად ახდენს ადგილობრივი შრომის ბაზრის გამოკვლევას, ევროკავშირში აპრობირებული ე.წ. ვაკანსიების მონიტორინგის (vacancy monitoring) მეთოდით - ადგილობრივ დამსაქმებლებთან მყარდება აქტიური კომუნიკაცია მათგან გასული, მიმდინარე თუ მომავალში დაგეგმილი ვაკანსიების შესახებ მონაცემების შესწავლის მიზნით.

დაწესებულება აღნიშნავს, რომ კვლევის პროცესში გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების დიდი დაინტერესება. გამომდინარე სახელმწიფო მიდგომიდან, კერძოდ, იმ ფაქტიდან, რომ სახელმწიფომ დეკლარირებულად განაცხადა 2020 წლიდან ბაგა-ბაღის აღმზრდელის პოზიციაზე სერთიფიცირებული აღმზრდელების შერჩევა, ადგილობრივ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გამოიკვეთა დიდი მოთხოვნა კვალიფიციურ აღმზრდელებზე, ადგილობრივი
თვითმმართველობის დაკვეთის გათვალისწინებით, კოლეჯს მიზანშეწონილად მიაჩნია აღმზრდელის პროფესიული პროგრამის დამატება.

ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოს 2019 წლის 5 ივლისის #3 სხდომის ოქმი, სადაც ფიქსირდება საბჭოს თავჯდომარის მიერ გაჟღერებული მოთხოვნა, რომ ქალაქ რუსთავის მერიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი“ ამოქმედება, ვინაიდან ქალაქი განიცდის კვალიფიციური კადრის დეფიციტს და შესაბამისად საჭიროა აღნიშნული კადრის მომზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მებაღეობა“** დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის 29.09.2019 წლის №260 ბრძანებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში მოიცავს 4 ზოგად მოდულს - 12 კრედიტის მოცულობით, 8 საერთო პროფესიულ მოდულს - 23 კრედიტის მოცულობით და კონცენტრაციის 9 მოდულს - 50 კრედიტის მოცულობით. სულ 85 კრედიტი. განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულების სია, სწავლის შედეგების მიღების დადასტურების (შეფასების) და კრედიტების მინიჭების წესი, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, ინფორმაცია პარტნიორი ორგანიზაციებისა და პროგრამის დანართების შესახებ. პროგრამას თან ახლავს შესაბამისი დანართები: სასწავლო გეგმა ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ, ინფორმაცია სასწავლო გარემოს და მატერიალური რესურსის შესახებ, მემორანდუმები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან:

- სს „საქართველოს სათბურის კორპორაცია“
- [redacted]
- „ა(ა)იპ რუსთავის სერვისცენტრი“ .

ერთ მემორანდუმში მოცემულია ინფორმაცია მოდულების შესახებ, რომელთა ფარგლებშიც პრაქტიკულ მეცადინეობებს განახორციელებს დაწესებულება. დანარჩენი ორი მემორანდუმის შინაარსი არის შედარებით უფრო ზოგადი. სასურველია, მითითებული იყოს მაგ., მოდულების ჩამონათვალი, ერთ ჯერზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, პარტნიორ ორგანიზაციაში სტუდენტთა ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი.

ვიზიტის პერიოდში დათვალიერდა „ა(ა)იპ რუსთავის სერვისცენტრი“ დაქვემდებარებაში არსებული სანერგე, სადაც სტუდენტები მემორანდუმში ჩამოთვლილი მოდულებით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს შეასრულებენ; ასევე [redacted] ინდივიდუალური საცხოვრებლის ბაღი, სადაც არის მრავალი, სხვადასხვა სახეობის დეკორატიული მცენარე. ინტერვიუირებით დადგინდა, რომ ეს სივრცე მოიაზრება, როგორც საჩვენებელი, სტუდენტებისთვის მცენარეების გაცნობის მიზნით გამოსაყენებელი ადგილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **შედუღება** შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **შედუღების/Welding** ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - (სარეგისტრაციო ნომერი - 07310-პ), დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ. მისანიჭებელ კვალიფიკაციად განსაზღვრულია საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში / Basic Vocational Qualification in Welding აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მექანიკა და ლითონის საქმე - კოდი 0715.

შედუღების პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 6 კრედიტის რაოდენობით, 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის ოდენობით შედუღებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 38 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა - 53 კრედიტი. პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებში და ის შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არ მოიცავს პრაქტიკასა და საწარმოო პრაქტიკას გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანია“, შპს „კონსტრუქცია“, შპს „რუსელოისი“, შპს „ქალაქის სანტექნიკი“. მემორანდუმების საგანია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია:
რეკომენდირებულია პარტნიორ ორგანიზაციასთან, (ააიპ ქ. რუსთავის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან), სწავლების დაწყებამდე არსებობდეს კონკრეტული ხელშეკრულება, სადაც წინასწარ იქნება გაწერილი პრაქტიკის ობიექტებათ მოაზრებული გაერთიანებაში შემავალი ფილიალების (ბაგა-ბაღების) ნომრები, მხარეთა უფლებამოვალეობები, გამოიკვეთება კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი და დაკონკრეტდება სტუდენტთა რაოდენობა, რომლის მიღებასაც შეძლებს დაწესებულება.

სასურველია მემორანდუმებში მითითებული იყოს მოდულების ჩამონათვალი, ერთ ჯერზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა, პარტნიორ ორგანიზაციაში სტუდენტთა ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში არსებობს 2019 წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის, ხედვის, და დევიზის შესახებ, პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პარტნიორი ორგანიზაციები, საკონტაქტო ინფორმაცია. კატალოგი ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.www.modusi.ge

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კატალოგით;
- ვებგვერდით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 5 აპრილის N82 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ფორმალური და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა.

რეესტრის გადამოწმებით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების შესახებ დროულად ხორციელდება სტატუსის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ასახვა, ასახული ბრძანებების შესახებ სრულ სურათს იძლევა სტუდენტის ისტორიაც. ასევე სრულყოფილად და ვადების დაცვით ხდება ინფორმაციის განახლება პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით https://evet.emis.ge/

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან:

- სსიპ **ილიას წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი**
- სსიპ კოლეჯი **„აისი“**
- სსიპ **„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**
- სსიპ კოლეჯი **„იბერია“**
- სსიპ კოლეჯი **„ლაკადა“**
- სსიპ კოლეჯი „მერმისი“
- ა(ა)იპ - კოლეჯი „პრესტიჟი“
- სსიპ - კოლეჯი „სპექტრი“

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა და მის შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულებას ბრძანებით დანიშნული ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი. დირექტორის 2018 წლის 24 მაისის N88 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამტკიცებულია „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ეფუძნება „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე“ ციკლს, რომლის თანახმად ხორციელდება მუდმივი მონიტორინგი შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ. კოლეჯში შიდა მონიტორინგის ყველა აქტივობა თითოეული პროგრამისათვის ხორციელდება დამტკიცებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად. გადამოწმდა ხარისხის მექანიზმების მუშაობის მტკიცებულებები, პროგრამის განხორციელების შეფასების ჩატარების და მათი ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები და მათი შესრულების მტკიცებულებები, სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად დაგეგმილი აქტივობები. დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა მონიტორინგის ჯგუფის საკონტაქტო საათზე დასწრების შევსებული კითხვარები, სხდომის ოქმები შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებით, ასევე რეკომენდაციებზე პროფესიული მასწავლებლების უკუკავშირი და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი ღონისძიებები. წარმოდგენილი იყო პროფესიული სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვის კითხვარები და ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“ მდებარეობს **ქალაქ რუსთავში,** მისამართზე: **შარტავას გამზირი №4** (საკადასტრო კოდი: 02.03.04.686) საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა **სახელმწიფო** რომელსაც უზუფრუქტის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები გადაცემული აქვს კოლეჯისათვის, კოლეჯის არსეობობის ვადით. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 25000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 3 ძირითადი შენობა და დამხმარე ნაგებობები. მიმდინარეობს კოლეჯის სრული რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს ჩატარდა 4 სართულიანი ძირითადი სასწავლო კორპუსის სრული რეკონსტუქცია-რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტებით, ასევე სრულად განახლდა სახელოსნო (საერთო ფართი 2375.85 კვ.მ), იგეგმება მეორე კორპუსის რეკონსტრუქცია და ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობა. დაწესებულებამ ავტორიზაცია მოიპოვა პირველი კორპუსის იმ ნაწილით, რომელიც იმ ეტაპზე გარემონტებული იყო. ამ ეტაპზე საერთო სასარგებლო ფართად შეგვიძლია მივიჩნიოთ ძირითადი სასწავლო კორპუსი და სახელოსნო. საჯარო რეესტრის ამონაწერში ერთადაა მითითებული 4 სართულიანი სასწავლო კორპუსისა და 2 სართულიანი კორპუსის საერთო ფართი რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს და უნდა მოხდეს რეაბილიტაცია, შესაბამისად სასწავლო კორპუსის საერთო ფართის გამოანგარიშებისას ექსპერტთა ჯგუფმა ისარგებლა საპროექტო დოკუმენტაციით, რომლის მიხედვით შენობა-ნაგებობის საერთო ფართი დაახლოებით 3000 კმ.მეტრია სარდაფის ჩათვლით **(დანართი 2)**

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	რუსთავი, შარტავას გამზირი №4	5375.85

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან 882019424256 – 11.06.2019
- უზუფრუქტის ხელშეკრულებით;
- საპროექტო დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

რეკომენდაცია:

საჯარო რეესტრში დარეგისტრირდეს ახალი საკადასტრო აზომვისა და შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისი ფართი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„აღმზრდელის“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების სწავლებისთვის საჭირო აუდიტორია (A გარემო)- ერთი 81.93 კვ.მ ოთახი, 15 პროფესიულ სტუდენტზე

„ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების სწავლებისთვის საჭირო აუდიტორია (A/B ინტეგრირებული გარემო) ერთი 66.41 კვ.მ ოთახი, 15 პროფესიულ სტუდენტზე

„მებაღეობის“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების სწავლებისთვის საჭირო აუდიტორია (A გარემო)- ერთი 84,66. კვ.მ აუდიტორია, სადაც 15 პროფესიულ სტუდენტზე (შენობა-ნაგებობა N3), ხოლო ძირთადი პროფესიული მოდულების C გარემოში განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„რუსთავსერვის ცენტრთან“ სასწავლო მიზნებისთვის თავისი ბაზის გამოყოფის თაობაზე, მის:ქ.რუსთავი, ალ.ყაზბეგის ქN2. (მემორN30/2019)

„შედუღების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროფესიული მოდულების სწავლებისთვის საჭირო სასწავლო A გარემო 42.85 სასწავლო აუდიტორია 15 პროფესიულ სტუდენტზე. (შენობა-ნაგებობა N3) და C გარემო ერთი 86,12 კვ.მ ოთახი, 15 პროფესიულ სტუდენტზე. (შენობა-ნაგებობა N3)

მოდულისთვის ინფორმაციული წიგნიერება კოლეჯს ცალკე აქვს მოწყობილი 2 B გარემო 15 პროფესიული სტუდენტისთვის (შენობა ნაგებობა N1)

ყველა პროგრამისათვოს უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით და შესაბამისად პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

შეფასება:

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები, გაზის მიზოდებას უზრუნველყოფს შპს სოკარ ჯორჯია გაზი, ელექტროენერგიის მიწოდებას სს ენერგო-პრო-ჯორჯია ხოლო წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს რუსთავის წყალი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შესაბამისი ხელშეკრულებებით;
- ანგარიშ-ფაქტურებით;
- საგადახდო დავალებებით (გადარიცხვის ქვითრებით);
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლებიც თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული. ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში რეგისტრაცია და მკითხველის ბარათის წარმოება.

დაწესებულებას ძირითადი ლიტერატურა აქვს ელექტრონულ მატარებლებზე, შესაბამისად სტუდენტს თავისუფლად ექნება წვდომა ელექტრონულ სასწავლო რესურსებზე, გამომდინარე იქიდან, რომ კომპიუტერებში პროგრამებისა და მოდულების მიხედვით ჩატვირთულია ელექტრონული რესურსები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან შერჩევითობის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული. ექსპერტთა მიერ შერჩევითობის პრინციპით შერჩეული წიგნები ყველა აღმოჩნდა ადგილზე.

დასტურდება:

- ბიბლიოთეკის დებულებით
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით
- ადგილზე დათვალიერებით
- ინვენტარიზაციის წიგნებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ მფლობელობაში აქვს 284 კომპიუტერი, 19 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი), 12 პროექტორი, ინტერაქტიული პროექტორი და დაფა 1 ცალი, აქედან სასწავლო პროცესის წარმართვისა და კოლეჯის მართვისათვის ადმინისტრაციას გამოყოფილი აქვს 19 კომპიუტერი და 11 კომბაინი (პრინტერი, სკანერი, ქსეროქსი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარიზაციის აქტებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით
- შესყიდვის/მოსახურების ხელშეკრულებებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, საქმისწარმოებაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის სისტემა „Eflow”. მატერიალური სახით ხდება დირექტორის ბრძანებების რეგისტრაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების წესით;
- აღრიცხვის ჟურნალებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს კოლეჯის ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სადაც გაწერილი არის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. ძირითადი სასწავლო კორპუსის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის შესაბამისად განთავსებული აქვს ცეცხლმაქრები. დაწესებულება აღჭურვილია სახანძრო დაცვის სისტემით და ყველა სართულის გასასვლელში დამაგრებულია განგაშის სასიგნალო მოწყობილობა. საევაკუაციო გეგმები განთავსებულია შენობის ოთხივე სართულზე თვალსაჩინო ადგილზე. ტექნიკური უსაფრთხოების წესებში ასევე გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები. შენობაში არის ექთნის კაბინეტი, დაწესებულებას ჰყავს კვალიფიციური მედდა. დაწესებულებაში არსებობს ვიდეო–სათვალთვალო სისტემა სასწავლო კორპუსის სართულებზე, ბიბლიოთეკაში, სასწავლო სახელოსნოში და ეზოში. დაწესებულებას ჰყავს დაცვის თანამშრომლები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ტექნიკური უსაფრთხოების წესებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- საევაკუაციო გეგმებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის სასწავლო კორპუსი და სახელოსნოები სრულად ადაპტირებულია სსსმ სტუდენტებისათვის, შენობაში ფუნქციონირებს ლიფტი, ადაპტირებულია სველი წერტილები და დერეფნები ადაპტირებულია უნივერსალური დიზაინით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, http://www.modusi.ge/ განთავსებულია ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, კოლეჯის მისია, ისტორია, სტრუქტურა, პედაგოგები, კატალოგი, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, სამართლებრივი აქტები, სიახლეები, ბოლო ინფორმაცია განახლებულია 2019 წლის 29 ოქტომბერს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებგვერდით;
- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებით.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს ახალი 2019-2024 წლების სტრატეგიული გეგმა, რომელიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. კოლეჯის გრძელვადიანი და 2019 წლის სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ 2019 წლის 12 აპრილის №97 ბრძანებით. სტრატეგიული გეგმა ანალიტიკური ტიპის დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ, ინსტიტუციური გარემოს მიმოხილვას, კოლეჯის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. სტრატეგიულ გეგმაში გამოყოფილია 6 ძირითადი სტრატეგიული მიზანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2019 წლის სამოქმედო გეგმა, მოიცავს ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობას თვეების მიხედვით, შესრულების ინდიკატორს და შესაბამის პასუხისმგებელ პირებს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2024
- ერთწლიანი სამოქმედი გეგმა 2019

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის საშტატო განრიგი - თანამდებობები, თანამდებობების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგო შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №62 ბრძანებით. კოლეჯის სტრუქტურა შედგება დირექციისგან, ადმინისტრაციისგან, ეკონომიკური სამსახურისგან და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისგან. საშტატო ერთეულების რაოდენობაა 18. დირექცია შედგება დირექტორისგან და დირექტორის 2 მოადგილისგან. კოლეჯის ადმინისტრაცია მოიცავს 7 საშტატო ერთეულს, კერძოდ: ხარისხის მართვის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერი, იურისტი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, IT სპეციალისტი, სასწალო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი. ეკონომიკური სამსახური - 5 საშტატო ერთეული: ბუღალტერი, შესყიდვების მენეჯერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და საწყობის მენეჯერი, ლოჯისტიკის სპეციალისტი, მედდა. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური: სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი.

დაწესებულებაში შემუშავებულია თანამშრომელთა სამსახურებრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები. ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, ასევე შედგა გასაუბრება ადმინისტრაციასთან და დადგინდა, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს და დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საშტატო განრიგით;
- პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში პროფესიული მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2019 წლის 25 მარტის N71 ბრძანებით „სსიპ - კოლეჯი მოდუსის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები“ და დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის N85 ბრძანებით „სსიპ - კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურები“ დანართებით. ახალი პროფესიული საგამანათლებლ პროგრამების განსახირციელებლად გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. **შემდეგ ეტაპზე** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული იქნება 6 პედაგოგი/30 პროფესიულ სტუდენტზე, **მეორე ეტაპზე** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - 11 პედაგოგი/30 პროფესიულ სტუდენტზე, **აღმზრდელის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - 16 პედაგოგი/30 პროფესიულ სტუდენტზე, **ბუღალტრული აღრიცხვის** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში - 7 პედაგოგი/30 პროფესიულ სტუდენტზე,

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემით

შეფასება:

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდაცია:
შემდეგ ეტაპზე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში საერთო პროფესიული მოდულების 8 კურსს კითხულობს მხოლოდ 1 პროფესიული მასწავლებელი, მიუხედავად იმის, რომ სტანდარტის მოთხოვნა დარღვეული არ არის (20 პროფესიულ სტუდენტზე 1 მასწავლებელი). პროგრამის განხორციელების მდგრადობის მიზნით, სასურველია კოლეჯმა იზრუნოს დამატებითი მასწავლებლის შერჩევაზე.

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით;

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (დასასრულისთვის)	ადგილების შესამლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	მებაღეობა (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში 0812	85	115	ქართული	ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი №4	0	30
2	შედუღება (მოდულური)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში 0715	38	53	ქართული	ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი №4	0	30
3	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი №4	0	30
4	აღმზრდელი (მოდულური)	მეხუთე საფეხური	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255	116	146	ქართული	ქ.რუსთავი, შარტავას გამზირი №4	0	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
დანართი 2. არქიტექტურული პროექტი

ქ. თბილისი **5 დეკემბერი 2019**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: